

საიდ. N73355 /03

IR 1168211

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №131-03/14

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრ „საქპატენტთან“ არსებული სააპელაციო პალატის კოლეგიამ შემდეგი შემადგენლობით: ნ. გოგილიძე (თავმჯდომარე), ქ. კილაძე, ლ. კერესელიძე, ლ. ახოზაძის მდივნობით განიხილა კომპანიის „მარსა იაგ სანაი ვე თიჯარეთ ანონიმ შირქეთი“ (MARSA YAG SANAYI VE TICARET ANONIM SIRKETI) (მის.:ქუჩუქბაქქალქოი მაჰალესი ვედათ გიუნიოლ, ქადესი დემირსოქაქ N1/A Kat:4-5-6, ათასეჰირ, ისთამბულ (თურქეთი); Küçükbakkalköy Mahallesi Vedat Günyol, Caddesi Demir Sokak No:1/A Kat:4-5-6, Atasehir Istanbul) სააპელაციო საჩივარი (საიდ. №131-03/14), რომლითაც მოითხოვება „საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ“ სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის“ სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 28 აპრილის №791/03 ბრძანების ბათილად ცნობა და საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის „MARSA“ (საიდ. N73355/03 IR

1168211) დაცვის მინიჭება საქართველოში საქონლის სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ (29-ე, 30-ე და 32-ე კლასები).

სააპელაციო პალატის კოლეგიამ განიხილა სააპელაციო საჩივარი, ექსპერტიზის გადაწყვეტილება და მოისმინა რა მხარის ახსნა-განმარტებები

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა

საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 28 აპრილის №791/03 ბრძანებაზე თანდართული ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი, ლათინური ანბანით შესრულებული სასაქონლო ნიშანი „MARSA“, ჟღერადობით ჰგავს კომპანიის „მარს, ინკორპორეტიდ (დელავერის შტატის კორპორაცია) (MARS, INCORPORATED (a Delaware corporation) მიერ „საქპატენტში“ რეგისტრირებულ, ლათინური და ქართული ანბანით შესრულებულ ნიშნებს: „mars MAX“ (რეგ. N16234, რეგ. თარიღი: 28/09/2005წ.), „მარს“ (რეგ. N5565, რეგ. თარიღი: 11/06/1997წ.), „MARS“ (რეგ. N 5567, რეგ. თარიღი: 11/06/1997წ.), „MARS“ (რეგ. N10063, რეგ. თარიღი: 30/07/1998წ.), „MARS“ (რეგ. N10064, რეგ. თარიღი: 30/07/1998წ.); „MARS“ (რეგ. N11705, რეგ. თარიღი: 16/03/1999წ.); „MARS“ (რეგ. N12054, რეგ. თარიღი: 10/05/1999წ.); „MARS“ (რეგ. N14620, რეგ. თარიღი: 13/09/200წ.), რაც ქმნის მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის შესაძლებლობას 29-ე, 30-ე და 32-ე კლასების საქონლის მსგავსი ჩამონათვლისათვის. ზემოთქმულიდან გამომდინარე, „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, სასაქონლო ნიშანს „MARSA“ უარი ეთქვა დაცვის მინიჭებაზე საქონლის სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ.

აპელანტი კომპანიის „მარსა იაგ სანაი ვე თიჯარეთ ანონიმ შირქეთი“ წარმომადგენელი არ ეთანხმება ექსპერტიზის გადაწყვეტილებას და მიიჩნევს, რომ არ არსებობს „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სასაქონლო ნიშნისათვის „MARSA“ დაცვის

მინიჭებაზე უარის თქმის სამართლებრივი საფუძველი. დაპირისპირებული და განცხადებული სასაქონლო ნიშნების მსგავსების მიუხედავად, მათ შორის არსებობს იმ დონის განსხვავება, რაც საკმარისია იმისათვის, რომ არ მოხდეს სასაქონლო ნიშნების ერთმანეთში აღრევა მომხმარებლის მიერ.

აპელანტის აზრით, ნიშნები განსხვავებულია ფონეტიკურად. განცხადებული სასაქონლო ნიშანი ქართველი მომხმარებლის მიერ წარმოითქმის როგორც მარ-სა, ხოლო დაპირისპირებული ნიშნები, როგორც - მარს.

აპელანტის აზრით, ფონეტიკური თვალსაზრისით სასაქონლო ნიშნები განსხვავებულად წარმოითქმის. წარმოდგენილი სასაქონლო ნიშანი ორი მარცვლისგან შედგება და მას განსაკუთრებულ განმასხვავებლობას სძენს ბოლო მარცვალში ხმოვანი „ა“-ს არსებობა, რომელიც მკაფიოდ წარმოითქმის და ანიჭებს ნიშანს იმ დონის განსხვავებას, რომ მისი აღრევა დაპირისპირებულ სასაქონლო ნიშნებთან არ მოხდება. რაც შეეხება დაპირისპირებულ სასაქონლო ნიშანს „mars MAX“ (რეგ. N16234), მასში შემავალი დამატებითი სიტყვა „მაქს“ კიდევ უფრო აძლიერებს განსხვავებას ნიშნებს შორის.

განსხვავებულია სასაქონლო ნიშნები ვიზუალური თვალსაზრისითაც. განცხადებული სასაქონლო ნიშანი ჩაწერილია ასომთავრული ლათინური შრიფტით, თეთრი ასოებით ლურჯი მართკუთხედის ფონზე. რაც შეეხება დაპირისპირებულ ეროვნულ სასაქონლო ნიშნებს, მათგან მხოლოდ ორია სიტყვიერი, კერძოდ „MARS“ (რეგ. N5567, რეგ. თარიღი: 11/06/1997) და „MARS“ (რეგ. N10063, რეგ. თარიღი: 30/07/1998). ყველა სხვა დაპირისპირებული ნიშანი ფიგურულია და წარმოადგენს გამოსახულების სხვადასხვა ვარიაციას.

აპელანტი მიიჩნევს, რომ ნიშნების ვიზუალურ განსხვავებას უფრო თვალსაჩინოს ხდის განსხვავებული ფიგურული ნაწილები, ფერთა განსხვავებული გამა და სტილიზებულად შესრულებული წარწერა „მარს“, რაც შესაბამისად ანიჭებს ნიშნებს იმ დონის განსხვავებას, რომ მათი აღრევა, მათ შორის ასოცირების შედეგადაც, არ მოხდება.

აპელანტი ასევე მიიჩნევს, რომ მიუხედავად კლასების იდენტურობისა, განცხადებული და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნების საქონელი საკმაოდ განსხვავებულია და შესაძლებელია მისი გამიჯვნა ისე, რომ არ მოხდეს მომხმარებლის მიერ აღრევა და მათი შეცდომაში შეყვანა.

აპელანტის მტკიცებით, კომპანიის „მარსა იაგ სანაი ვე თიჯარეთ ანონიმ შირქეთი“ საქმიანობის სფეროს წარმოადგენს საკვები ცხიმების წარმოება, როგორცაა ზეთი, ერბო, მარგარინი და სხვა. აპელანტი აცხადებს, რომ ის სასაქონლო ნიშანს „მარსა“ საქართველოში წლების განმავლობაში იყენებს და აღნიშნული სასაქონლო ნიშნით მონიშნული პროდუქცია საკმაოდ პოპულარულია ქართველ მომხმარებელში. სააპელაციო საჩივარს თან ერთვის საქართველოს ტელეარხებზე წლების განმავლობაში რეკლამირებადი პროდუქტის - მარგარინი „ონა“ გამოსახულება, საიდანაც ნათლად ჩანს, რომ აღნიშვნა „მარსა“ ფიგურულად არის დატანილი პროდუქტზე, როგორც ლათინურ, ისე ქართულ ენებზე. ქართველი მომხმარებელი კარგად იცნობს ამ პროდუქტს, რომელიც წლების მანძილზე თანაარსებობს ბაზარზე დაპირისპირებული ნიშნებით მონიშნულ პროდუქციასთან და არ შედის შეცდომაში მწარმოებლის მიმართ.

აპელანტის მიერ წარმოდგენილია ასევე სასაქონლო ნიშნის „MARSA“ რეგისტრაციების ჩამონათვალი სხვადასხვა ქვეყნებში. აპელანტი მიიჩნევს, რომ საქართველოს მეზობელ ქვეყნებში წლების მანძილზე რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნები და ამ ნიშნის ხანგრძლივი გამოყენება საქართველოში განაპირობებს იმ ფაქტს, რომ ნიშანმა მოიპოვა განმასხვავებლობა და განსხვავებულ სიმბოლოდ დამკვიდრდა განცხადებული საქონლისათვის.

აპელანტი აღნიშნავს, რომ დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნებით მონიშნული ტკბილეული, კერძოდ შოკოლადის ბატონები და ნაყინი 20 წელზე მეტია არსებობს საქართველოს ბაზარზე, საკმაოდ პოპულარულია და სტილიზებულად წითელ და ყვითელ ფერში შესრულებული წარწერა „მარს“ მკაფიოდ ზის ქართველი მომხმარებლის მეხსიერებაში, ამიტომ მისი აღრევა მათ შორის მწარმოებლის მიმართ,

არ მოხდება ზეთებსა და მარგარინზე დატანილ, ლურჯ-თეთრ ფერში შესრულებულ ნიშნათან.

ამრიგად, დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნების შედარების შედეგად ირკვევა, რომ ნიშნების ვიზუალური, ფონეტიკური განსხვავება, აგრეთვე განსხვავებული საერთო შთაბეჭდილება, ნიშნების ხანგრძლივი თანაარსებობა საქართველოს ბაზარზე გამორიცხავს დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნების აღრევას, მათ შორის ასოცირების შედეგად.

ამასთან, აპელანტი თანახმაა, შეზღუდოს განცხადებული სასაქონლო ნიშნის საქონლის ჩამონათვალი და 30-ე კლასის ჩამონათვალიდან ამოიღოს შემდეგი სახის პროდუქცია: „საკონდიტრო ნაწარმი და შოკოლადი“ („confectionary and chocolate“).

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, აპელანტი მიიჩნევს, რომ არ არსებობს „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული, საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის „MARSA“ (სად. N73355/03 IR 1168211) საქართველოში დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის საფუძველი.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ განიხილა სააპელაციო საჩივარი, საქმეში არსებული მასალები და მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს. სააპელაციო პალატის კოლეგია, თვლის, რომ განცხადებული სასაქონლო ნიშანი „MARSA“ (სად. N73355/03 IR 1168211) და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები აღრევამდე მსგავსია.

განცხადებული და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები მსგავსია ვიზუალურად და ფონეტიკურად.

განცხადებული სასაქონლო ნიშანი „MARSA“ და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები „MARS“ (რეგ. N5567, რეგ. თარიღი: 11/06/1997) და „MARS“ (რეგ. N10063, რეგ. თარიღი: 30/07/1998) შესრულებულია ლათინური შრიფტით, არ ახლავთ გამოსახულებითი ელემენტები და შესაბამისად, საერთო შთაბეჭდილება, რომელიც ამ ნიშნებმა შეიძლება მოახდინონ მომხმარებელზე იქნება მსგავსი, ვინაიდან ნიშნებს

შორის არსებობს მხოლოდ ერთი განსხვავება, კერძოდ განცხადებული სასაქონლო ნიშანი შედგება ხუთი, ხოლო დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები ოთხი ასოსგან და განცხადებული სასაქონლო ნიშნის ბოლოს აქვს დამატებითი ერთი ასო „A“.

სააპელაციო პალატის კოლეგიას მიაჩნია, რომ იმ პირობებში, როდესაც იდენტურია დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნების პირველი ოთხი ასო „M“, „A“, „R“ და „S“, განცხადებული სასაქონლო ნიშნის ბოლოში დამატებითი ერთი ასოს - „A“ არსებობა ნამდვილად არ სძენს სასაქონლო ნიშნებს განმასხვავებლობას და სახეზეა სასაქონლო ნიშნების აღრევის, მათ შორის ასოცირების შედეგად აღრევის შესაძლებლობა.

რაც შეეხება ქართულენოვან დაპირისპირებულ ნიშნებსა და კომბინირებულ სასაქონლო ნიშნებს, „mars MAX“ (რეგ. N16234, რეგ. თარიღი: 28/09/2005); „მარს“ რეგ. (N5565, რეგ. თარიღი: 11/06/1997); „MARS“ (რეგ. N10064, რეგ. თარიღი: 30/07/1998); „MARS“ (რეგ. N11705, რეგ. თარიღი: 16/03/1999); „MARS“ (რეგ. N12054, რეგ. თარიღი: 10/05/1999); „MARS“ (რეგ. N 14620, რეგ. თარიღი: 13/09/200), ქართველი მომხმარებლის მიერ, ყველა ეს ნიშანი გამოითქმის, როგორც „მარს“ ან მარსი“. დაპირისპირებულ სასაქონლო ნიშნებში დამატებითი გრაფიკული და ფერადი ელემენტების არსებობა (როგორც არის სტილიზებულიად, წითელ, შავ და ოქროსფერ ფერებში შესრულებული წარწერა „MARS“) არ სძენს დაპირისპირებულ სასაქონლო ნიშნებს იმ დონის განსხვავებას, რომ არ მოხდეს მომხმარებლის შეცდომაში შეყვანა საქონლის მწარმოებლის მიმართ.

სააპელაციო პალატის კოლეგია არ იზიარებს ასევე აპელანტის მოსაზრებას 30-ე კლასის საქონლის შეზღუდვასთან დაკავშირებით, ვინაიდან მიაჩნია, რომ 30-ე კლასის საქონლის ჩამონათვალიდან „საკონდიტრო ნაწარმისა და შოკოლადის“ ამოღების პირობებშიც, დაპირისპირებულ სასაქონლო ნიშნებს შორის არსებული ვიზუალური, ფონეტიკური და საქონლის ჩამონათვალის მსგავსების გამო, მაინც იარსებებს სასაქონლო ნიშნების აღრევისა და მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის

შესაძლებლობა, ვინაიდან დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნების ჩამონათვალი, მოიცავს განცხადებული სასაქონლო ნიშნის საქონლის ჩამონათვალს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატის კოლეგიას მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში არსებობს „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევას და სასაქონლო ნიშანს „MARSA“ (სად. N73355/03 IR 1168211) არ უნდა მიენიჭოს დაცვა განცხადებული საქონლის სრული ჩამონათვალის მიმართ.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ იხელმძღვანელა „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლით, სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2011 წლის 18 მარტის №02 ბრძანებით დამტკიცებული საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატის დებულების მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. კომპანიის „მარსა იაგ სანაი ვე თიჯარეთ ანონიმ შირქეთი“ (MARSA YAG SANAYI VE TICARET ANONIM SIRKETI) სააპელაციო საჩივარი (საიდ. №131-03/14) არ დაკმაყოფილდეს.

2. ძალაში დარჩეს „საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ“ სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის“ სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 28 აპრილის №791/03 ბრძანება.

3. წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ.

მცხეთა, სამხედროს ქ. №17) გადაწყვეტილების გაცნობის/ჩაბარების დღიდან ერთი თვის ვადაში.

კოლეგიის თავმჯდომარე:

ნ.გოგილაძე

წევრები:

ქ. კილაძე

ლ. კერესელიძე